№ 152 24 ივლისი, სამშაბათი 1866—1879 24 ივლისი, სამშაბათი № 152

რედაქცია: სოლოლაკზე, ბ ლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დაბეჭდილ-ებით ასოზე 1 კაპ. ერთ ფურცელ-ზე ცალკე ერთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება სახალხო საეკლესიო წიგნი

კარაბადინი

შედგენილი
მღ. დავით ღამბაშიძისაგან.
გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყოდთ ერთი მანეთი, ყიდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს ში—ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს ში—სიმონ ცარეაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ ში—ბლაღოჩინს სასორდიასთან.

ზ უ გ დ ი დ ში—ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლ ე ჩ ხ უ მ ში (ლაილასში) — ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე ში—ყარამან ჩხეიძესთან—სასოფლო შკოლაში.

ბ ო რ ჯ ო ში—პავლე ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

ყ ვ ი რ ი ლ ა ში—ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—1)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადღეის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კეტერბურღი, 20 ივლისს. ბუშინ წინ მოიყვანეს აქ ტაგანროღიდამ პლეტნიოვი, რომელიც ამბობს, რომ მირსკი ვარო და რომელსაც ღენერალ ღრენტელნის მოკვლის განზრახვას აბრალებენ.

ხერსონი, 19 ივლისს. აქაური ხაზინიდამ რომ ფულები მოიპარეს, იმ ფულებიდამ დანარჩენი ნახევარი მილიონი მანეთიც იპოვნეს.

ფელტონი

ღატაკის ზღაპარი

ერთხელ, ძველ დროში, ერთ ცივ შემოდგომის საღამოს, ორი დაღალული მგზავრი, მიბარბაცებდნენ გზაში. ორივეს ეცვათ დაბრანძული ტყავები, ქალამნები და ხელში ეჭირათ კომბლები, რომლებზედაც ებჯინებოდნენ. თითქო კოკის პირიდამ, მოდიოდა საშინელი წვიმა.

რამდენიმე ასი ნაბიჯი რომ გაიარეს მგზავრებმა, თავიანთ ბედზე, დაინახეს კლდის ძირს გაშლილი სოფელი. სოფელში ამათ აარჩიეს ერთი წითელი სახლი, რომელიც ყველაზე გაშორებით იდგა; იფიქრეს, რომ ეს მდიდრის სახლი უნდა იყოს; დაურახუნეს კარები და სთხოვეს, რო ეწამათ ქრისტე და შეეშვათ ესენი სახლში ღამის გასათევად. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მდიდრებს არ უყვართ, როცა იმათ აწუხებენ. დიდხანს ეხვეწნენ მგზავრნი, მაგრამ იმათ არაფრათ მიიჩნიეს, საცოდავების ხვეწნა.

შეწუხდნენ საცოდავები. იხდნენ და ფიქრობდნენ: სათ წასულიყვნენ და სად შეეფარათ თავი.

დაინახეს გზაზე მომავალი პატარა ბიჭი. მიეგებნენ ამ ბიჭს, უამბეს თავიანთი უბედურება და ჰკითხეს:

— ვინ იპოვება ამ სოფელში იმისთანა მაღალი სულისა, რომელთანაც შეგვეძლოს ჩვენ ამაღამ თავის შეფარება? პატარა ბიჭმა თვალები დაჭყიტა, გამოიქექა ცხვირი და უპასუხა იმათ:

— ღატაკთან მიდით, ის არის ჩვენში ყველაზე კეთილი გულის გლეხი კაცი, და ყველას მიიღებს ხოლმე.

გასწიეს ღატაკისკენ. ამათ ძალიან გაუკვირდათ ამ გვარი სახელი ამისთანა კეთილი გლეხ-კაცისა.

ძველი და დანგრეული ქოხი ღატაკისა იდგა სოფლის მეორე ნაპირას. დაურაკუნეს კარებზე.

— ვინ არის? მოისმა მოხუცებულის ბოხი ხმა:—შემოდით, ძმაო, მე კარები დაკეტილი არა მაქვს.

მგზავრები შეეიდნენ, პირჯვარი დაიწერეს ხატის წინ და სალამი მისცეს მასპინძელს. ეს იყო მძიმე, ღრმა მოხუცი ისე რო ერთბაშად რომ შეხედავდა კაცი, შეეშინდებოდა და ეგონებოდა: „აი, აი, ამავე წამს გადაიცვლება!

— დაბრძანდით ღვთის ხალხნო, დაისვენეთ. წაიბუტბუტა მოხუცმა და უჩვენა სიძველისაგან გაშავებული სკამი. ეს სკამი, ერთი უშნო სტოლი და ლოგინის მაგიერ ერთი იღლია თივა იყო სულ ამ ქოხის მორთულობა.

მგზავრებმა მადლობა მოახსენეს და დასხდნენ.

ბაბეს ლაპარაკი. სტუმრებმა უამბეს ამას ბევრი რამ წმინდა ალაგებზე, იერუსალიმზე და სხვაზე, რაც ენახათ და გაეგონათ. მოხუცებული ამათ სასიერებით ყურს უგდებდა და მერე თითონაც დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე. ამის ლაპარაკიდგან გაიგეს, რომ იმასა რქმეია სახელად ოზნისიმე, მაგრამ რადგანაც ღმერთს ამისთვის არა მიუცია რა და მთელი თავის სიცოცხლე საშინელ სიღარიბეში გაუტარებია, ამის გამო ხალხს დაურქმეია ამისთვის სახელად „ღატაკი“.

— ბევრი ხანი გიცხოვრია, ბიძია? ჰკითხა ერთმა მგზავრმა:—რამდენი წლისა ხარ?

— ეეხ, რა ვიცი, შვილო. სოფელში იძახიან, ვითომ ქვეყნის გაჩენის დროს ვიყო დაბადებული. მარამ, რასასეირველია, რო ეს ტყუილია და მე თითონ კი არ მახსოვს ჩემი წლოვანობა...

ცოტა ხანს შემდეგ ჰკითხა მგზავრებს მოხუცმა:

— მართლა და შვილებო, თქვენ ხო გზიდამ დამშეული იქმნებით?

— დიახ, შენი ჭირიმე, უპასუხეს ერთის ხმით მგზავრებმა.

ვერსალი, 20 ივლისს. ბუშინ დეპუტატების პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზე (შესავალ-გასავალზე) იყო სჯა. მინისტრმა ვადინგტონმა სთქვა, რომ საფრანგეთს ამჟამად მხოლოთ მშვიდობიანობის დამყარება ჰსურსო, რომ იმას ყველა სახელმწიფოებთან მეგობრობითი და კეთილი განწყობილება აქვსო. საბერძნეთის გამოსარჩლების თაობაზე მინისტრმა სთქვა, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთის ახლანდელი მმართებლობა ძველს, ჩვეულს პოლიტიკას მისდევსო. „საბერძნეთი ცდილობს და ამ სახელმწიფოს გამოსარჩლებაში საფრანგეთი მარტო, უმოძმეოთ არ დარჩება.“ ვადინგტონმა გამოაცხადა იმედი, რომ ებრაელების საქმეს მალე და კარგათ გაათავებენ რუმინიაში; რომ ამ საქმეში საფრანგეთს ცივილიზაციის დროშა უჭირავს ხელში. მინისტრის სიტყვით, საფრანგეთის განზრახვა მუდამ ის იყო, რომ კარგი და პატიოსანი გამგეობა დამკვიდრებულიყო ეგვიპტეში. იმედი გვაქვსო, რომ ამ მიზანს მივაღწევთო, რადგან ოსმალეთის მთავრობა დათანხმდაო, რომ 1866-1873 ფირმანი ისევ შეუცველელად დარჩესო.

პარიჟი, 20 ივლისს. სენატის კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს სახალხო განათლების მინისტრის ფერის კანონ-პროექტის განხილვა, უარ-ჰყო შეშვიდე მუხლი ამ კანონისა და თან მთელი კანონ-პროექტიც. ჭულ სიმონი ამორჩეულია ამ კომისიის მომხსენებელად; ამ კანონ-პროექტის თაობაზედ სჯა სენატში ზამთრამდინ არ იქნება.

პეტერბურღის ბირჟა, 20 იელისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 95	— 37
მეორე — — —	— 94	— 25
მესამესი — —	— 94	— 25
მეოთხესი — —	— 94	— 50
ოღმოსავლეთის პირ.	— 92	— 62
ოღმოსავლეთის მორე	— 92	— 25
ოღმოსავლეთის, მესამე	— 92	— 50
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	— 80

თფილ. თავად-აზნ. ბანკის
გირაოს ფურცელი — „ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— 233	— 75
მეორე სესხის	— 233	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	25 — 32	პენსი
ბერლინი	— —	128 —	„ ცენტი
პარიჟი	— — —	267 — 50	სანტიმი
ვენა	— — —	216 — 50	ჰფენიგი
კავკასიის კერასინი	—	„ —	

საქართველო

ღღიური

*** ბამოვიდა უმაღლესი ბრძანება‘ რომლის ძალითაც თამბაქოსა და სასმელების აქციზი ბათუმისა და ყარსის მაზრებშიაც უნდა იქმნეს შემოღებული ისე, როგორათაც კავკასიის აქეთა მხრის სხვა გუბერნიებში არის.

*** ამბობენ, რომ იმ მაჰმადიან მცხოვრებლების მაგიერ, რომელნიც თითქმის სულ ერთიანად მიდიან ყარსის მაზრიდამ ანზრუნისაკენ, ყარსის მაზრაში დუხობორები გადადიან ბანჯის გუბერნიიდამაო. ამ ჟამად 600 კომლზე მეტი დუხობორი გადასახლებულა.

*** წლევანდელ მოსავლის თაობაზე საქართველოს თითქმის ყველა მხრიდამ, ვარდა თფილისის და ზოგან ბორის უეზდისა. კახეთში, თელავის უეზდში პურის მოსავალი კარგი ყოფილა, ბალახიც ბლომად არისო; ვაზზე ყურძენი ძალიან უხვად ასხიაო, მაგრამ ზოგან ნაცარი აფუჭებსო. ქიზიყში (სიღნაღის უეზდში) და ბორჩალოში აგრეთვე პურის მოსავალი სამყოფი არის, ვენახებიაც არ ემდურიან.

მაგიერად თფილისისა და ბორის უეზდების ზოგიერთი სოფლები სრულებით მოოხრებულია თურმე ზოგან კალიითა და ზოგან მინდვრის თაგვით; ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში დაბეჭდილის კორრესპონდენციიდამ შეიტყობდით, მაგალითად, რა დღე დაუყენებია იერის ხეობისათვის თაგვსა და რა გაჭირეა მოელის იქაურ სოფლებს.

იმედია, რომ ადგილობრივი უეზდის უფროსები მთავრობის წინაშე იშუამდგომლებენ და დროებით ხელს მოუმართავენ გაჭირებულ ხალხსა.

მოხუცი ოხვრითა და კვნესით წამოდგა და გაეიდა ქოხიდამ. ხუთი მინუტის განმავლობაში ისევ დაბრუნდა და სტოლზე დააწყო ერთი პურის ყუა და ორი დიდი მწიფე ვაშლი:

—არ დამცინოთ, შვილებო, მე ამაზე მეტი არა მეშოვება რა.

მგზავრებმა ჭამა დაუწყეს. მოხუციც მიუჯდა სუფრას.

—ოხ, ღმერთო ჩემო.... ოხ, რა ცოდვაა! ბუტბუტებდა მოხუცი და თან საშინლათ ოხრავდა.

— რა დაგმართვია, ბატონო?.... იქნება ავათა ხარ? ჰკითხა ერთმა სტუმარმა. მოხუცმა ტუჩები დააცმაცუნა და მერე უპასუხა:

— ეჰ, ღმერთმა ხო იცის, რო არა შემიძლია რა, და კიდევ უბედურებას მიგზავნის.

— რა არი, რა დაგემართა? გაუმეორა ერთმა მგზავრმა.

— აი, ძმანო, კვნესით დაიწყო მოხუცმა:—მე გავზარდე ერთი მშვენიერი ვაშლის ხე, რომელიც არის ჩემი მაცხოვრებელი. დავარხევ ხოლმე ხეს, გავყიდი ვაშლს, ვიყიდი პურს და ვცხოვრებ, როგორც არი... მოხუცმა კიდევ ამოიოხრა და დაიწყო: ეხლა შემჩეევია ერთი ავი კაცი, და ყოველ დღე ვაშლებსა მპარავს....

მგზავრებმა ერთი ერთმანეთს შეხედეს და ერთმა ამათგანმა სთქვა:

— მართალია, ეს შენ დიდი უბედურობა გწვევია, მარამ ნუ გეშინიან, შენ დაიძინე და ჩვენ გაგირიგებთ საქმეს.

დაწვა მასპინძელი თავის თივაზე და სტუმრებმაც ალაგი იშოვნეს; მაგრამ მეორე დღეს რომ მოხუცმა გაიღვიძა, სტუმრები ეელარსად დაინახა.

— კარგათ გამირიგეს საქმე! წაიბუტბუტა და გაეიდა კარზე თავის ვაშლის ხის სანახავათ.

ეს იყო მშვენიერი, ჯერ კიდევ ახალგაზდა, მწვანე და ტოტებ გაშლილი ხე. ბევრი ხანი იდგა და შეყურებდა მოხუცი ამ ხეს; მერე მიუახლოვდა და დაინახა საშინელი სანახავი: ხეზე იყო კაცი, რომელიც შიშისაგან შუაგულ ტოტებში ჩაკუნჭულიყო. მოხუცებული დააცქერდა, დააცქერდა და იცნო თავისი სოფლისვე გლეხი, რომელსაც ერქვა სახელად თევდორე.

— აა, მაშ ეგ შენა ხარ ჩემი ვაშლების ქურდი!... ჩამოდი ამ საათში, ჩამოდი! და მოხუცმა წყნარად დაუწყო ნძრევა ხეს.

—არ შემიძლიან, ოხ, არ შემიძლიან! ბამიშვი, ღატაკო, ეხლა გამიშვი და ჩემ დღეში აღარას მოვიპარავ...

—ჩამოდი, რა დაგმართვია, ხეზე ხო არავის მიუკრავხარ!...

—ოხ, მე თითონ არ ვიცი, ტირილით მიუგო თევდორემ.—ამოსვლით მარდათ ამოვედი, და ჩამოსვლა კი ვეღარ მომიხერხებია.... რაც გინდა მიყავ არ შემიძლიან.... ხე მიჭერს, ხე, და არ მიშვებს.... ნუ დამღუპავ ღატაკო!...

ეხლა კი იგრძნო ოსნისიმემ, რო არ იყო მოტყუებული მგზავრებისაგან, რომ იმათ მიუციათ ხისთვის ბიზიდულობის ძალა.

— კარგი ღმერთმა გაპატიოს, ჩამოდი, ნებას გაძლევ.

წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები მოხუცმა, თევდორე იმ წამსვე ჩამოვიდა ხიდამ და ისე გარბოდა, თითქო უანგარიშო ეშმაკები უკან მისდევდნენ.

— ეგ კარგია, მეორეთ აღარ მოხვალ საქურდლათ! სთქვა ბებერმა.—ძლივ ეხლა დამშვიდებით და ადამიანურათ არ ვიცხოვრებ! ბმადლობ მგზავრებსა, ვმადლობ იმ ღვთის ხალხსა!...

ამ დროს მოხუცმა რაღაც უცნაური ხმა და უკან მიიხედა... ოხ, ღმერთო, რა საშინელი ვინმე დაინახა.... იმის უკან იყო გაჩერებული სიკვდილი, ძვლიანი, პაჭუა და ორი გამოთხრილი ალაგით თვალების მაგვრათ.

— მოემზადე, ბებერო, მოემზადე! უთხრა საშინელმა სტუმარმა.—მოემზა-

*** დუშეთის მხრიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში აქეთკენ საშინელი წვიმები იყოვო და ნიაღვარმა ბევრი ზარალი მისცა ზოგიერთ სოფლებსაო; ყანები, ბოსტნები და ვენახები გააფუჭა, გზები წაილეკაო და სხვ.

*** ალბულაღიდამ გვაცნობებენ, რომ წლევანდლისოდენი ხალხი აქ საზაფხულოდ არასოდეს არ ყოფილაო; სახლის პატრონებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და ჩვეულებრივ ფასზე ერთი-ორად უფრო ძვირად გააქირავეს თავისი უხეირო სახლებიო. სახლის პატრონებს კიდევ თავი დავანებოთო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, მეფურნეებმა გაგვიჭირეს საქმეო: ამ ჟამად აქ ორი სომეხი-მეფურნეა; სანამ ბევრი ხალხი მოვიდოდა, მანამ გირვანქა პურს ოთხ კაპეიკად ჰყიდდნენო; მერმე, ხალხი რო მოგროვდა, გირვანქა ხუთ კაპეიკად გახადესო და ახლა კი, ეს სამი დღეა, სულ დაკეტეს ფურნეები, ამბობენ—ფქვილი აღარა გვაქვსო! ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ უნდად ხალხი შეეხვეწოს და გირვანქაში ექვს-ექვსი და შვიდ-შვიდი კაპეიკი გადაახდევინონ, თორემ ფქვილი აქედამ მოაქვთ ქალაქშიო და აქ როგორ არ იქნებაო...

*** ამის ქვემო ხელის-მომწერელი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი წიგნი, მოწერილი თ. დავით ალექსანდრესძეს მიქელაძისადმი:

„მოწყალეო ხელმწიფევო! თუმცა ეს წიგნი თქვენთან გვიან გახლავს, მაგრამ რადგან რაჭის მაზრაში დ. ონში ფოსტის განყოფილება ჯერ არ არის გახსნილი, ამის მიზეზით გაზეთი „დროება“ ძლიერ გვიან მოგვდის და ეს წიგნიც გვიან არის.

„მე რაჭის მაზრის მცხოვრებმა, მოხუცებულებაში მიწევნილმა, „დროების“ მე-110 ნომერში რომ წავიკითხე თქვენი გრძნობითი წარმოთქმული სიტყვა, ქუთაისის საკეთილშობილო ბანკის კრებაზედ,—შესახებ ერთ-ძმობითი საზოგადოებისა,—ვსთქვი: აი კაცი, მოყვარული თვისი უნცროსი—თანაძმისა, აი კაცი-მეთქი, რომელსაც აქვს ნამდვილი სიყვარული ერთობისა, რომელიც არის წყარო საზოგადო კეთილ-წარმატებისა და ხალხის წინ ფეხის წადგმისა-მეთქი!

„ამ თქვენს საზოგადოებისათვის კეთილ ჰაზრში არ შემიძლია მეც არ გაგიზიარო ჩემი მხურვალე თანაგრძნობა და არ ვისურო გვეყოლოს თქვენის აზრისანი სხვანიცა, რომელთაც მიუღიათ ეს თქვენი სასიამოვნო ხმა კეთილად.

„მე ნასწავლი არ გახლავარ, მაგრამ თანშობილის აზრით, ჭეშმარიტათ დიდათ ვსწუხვარ იმ სამასის გულ-მოსულობას და ბოროტის საქმის გამარჯვებასა.

„ვსწუხვარ, ვამბობ, მათ გამარჯვებას ბოროტს საქმეში, მაგრამ მიხარიან მათი შეცთომილების სინანულიც და თუ ჩემთვის ასე საგრძნობელი და სამწუხარო მათი შეცთომა და სასიხარულო მათი სინანული, ჩემთვის რომელიც ვეკუთვნი ძველს დროს, ნუ უკვე მომავალი ახალი თაობა ჩვენი არ უნდა აღტაცებით შეხაროდეს ყოველს იმგვარს საქმეს, რაც სასარგებლო და სასიამოვნოა ქვეყნისათვისა?

„რას იტყვის და რა ისტორია დასწერს მათზედა მათის [illegible] ბოროტის საქმის გამარჯვებაზედ ჩვენი შემდეგი ახალი თაობა? ეს მათთვის მიმინდვია, როგორც ენებოს ისე განსაჯონ.

„მე კი ამ მოკლეს სიტყვას ვიტყვი ჩემის მხრით:

„ზლეხები არიან ყოველის წოდების კაცის მზრდელი; ისინი არიან ჩვენი ძმები და ძმის შემწეობა სალმრთო ვალათ სძევს ყოველს კაცს.

„ღმერთსა ვსთხოვ დიდის მხურვალის გულით, რომ შემდეგ აღარ იქნეს მათგან ესეთი გულმოსულობითი საზოგადო კეთილის და ერთ-ძმობის გამრავლების მოსპობა.„

თქვენი თ. კონსტანტინე შიფიანი.

სოფ. ტოლა, 5 ივლისს.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ოსმალეთის ფინანსის მინისტრს წარუდგენია ხონთქრისათვის ანგარიში რუსეთთან ომის ხარჯისა; ამ ანგარიშიდამ სჩანს თურმე, რომ გაველილ ომში ოსმალეთს დაუხარჯავს სულ ოთხი მილიარდი და ნახევარი ფრანკი (ოთხი ათას ხუთასი მილიონი ფრანკი, ჩვენს ფულზე თითქმის ორი ათასი მილიონი მანეთი). ამბობენ, ხონთქარი ძალიან დალონდა, როცა ამდენი ფულის დახარჯვა შეიტყოვო.

დე, შენი საათიც მოვიდა! და სიკვდილმა დაიწყო უცნაურათ ხტომა და თამაშობა შიშისაგან თავზარდაცემულ მოხუცებულის წინ.

სანამ სიკვდილი თამაშობდა, მოხუცებულმა გული მოიბრუნა და იფიქრა: „ერთ უბედურობას მოვრჩი და აი მეორე ზურგს უკან დამხვდა“...

სიკვდილის წინათ მოუნდა უკანასკნელათ მაინც კიდევ შეეჭამა ერთი ვაშლი.

— ოი შენ, პაჭუავ, გესმის, უთხრა სიკვდილსა: ნება მომეცი ერთი ვაშლი მაინც შევჭამო.

— ჰო, კარგი შეიძლება, უთხრა სიკვდილმა და დაიწყო ისევ თამაშობა.

— შეიძლება..... რა კარგათა სთქვა!.... რო შეიძლება, რითი ჩამოვიღო, მე ხო ვერ ავცოცდები!... ნება მომეცი შენი ცელით ჩამოვაგდო.

გაჯავრდა სიკვდილი და უთხრა:—შე ბრიყვო, შენა! არ იცი, რომ ხელს ახლებ თუ არა, იმ წამსვე მოკვდები?!...

— მა რა ვქნა? შენ თითონ ხედავ, რო მოხუცი ვარ და ვერ ავალ ხეზე....

— მოიცა, მე ავალ.

სიკვდილი მიფოფხავდა ვაშლის ხეზე და ამბობდა, რომ ადამიანები უმადურები არიან, არ ესმისთ რა სიკეთეს უშვრება იმათ სიკვდილი და ამის შემდეგ იმას კიდევ თავიანთ მტრათა რაცხვენო!

— მე ვარ თქვენი მეგობარი, მოკეთე და არა მტერი! ამბობდა სიკვდილი. იმან მოსწყვიტა რომელიც უფრო დიდი და მწიფე ვაშლი იყო და ჩაუგდო მოხუცებულსა.—მე მოვდივარ თქვენთან საშველათ, როცა თქვენი ტანჯვა უმეტესს ხარისხამდინ მიაღწევს. მაშინ მოვიქნევ ერთხელ ცელსა, და იმავე წამს თქვენი ტანჯვა ჰქრება... ვაი, ვაი ეს რა მომივიდა, ველარ ჩამოვსულვარ ხიდამ... ხე მიჭირს... იძახდა სიკვდილი და ეწეოდა საშინლად მანჭვით ძირს; მარა ხეს მაგრა ეჭირა. ფეხებს იქნევდა, ცელით სულ ტოტებს ამტვრევდა. მაგრამ ყოველმა მეცადინეობამ ამაოთ ჩაიარა.

—ნუ მეხუმრები, ბებერო! მრისხანეთ დაუყვირა სიკვდილმა. შენ არ იცი რა ძნელია ხუმრობა სიკვდილთან.

ბებერმა, რომელიც წინათ ძალიან შეშინდა, ახლა გული დაიმშვიდა და დაცინვაც დაუწყო სიკვდილსა.

—რაზედ ჯავრობ, პაჭუავ? მოიცა ვაშლი მაინც გავათავო. მოასწრობ კიდევ ჩემ სიკვდილს! სთქვა ეს ლატაკმა, დაჯდა ხის ძირს და აუჩქარებლად დაუწყო ვაშლს ჭამა.

— შე უჭკუო, ბებერო! ყოველი წამი ძვირად მიღირს. განა არ გესმის კვნესა შენის ძმებისა, რომელნიც ყველგან და მუდამ წამს მელიან? გამიშვი, არ მცალიან, უნდა წავიდე, ნუ მაგვიანებ.

—კარგი, არა გიშავს-რა, მოიცდი.

—შეიბრალე, შეეხვეწა სიკვდილმა, შენიმეზობლები მაინც, რომელნიცმეძახიან!

—ეგ არი, ეგ!.. შეხედე-რა მოკატუნებით დაილაპარაკა!.. რისთვის შეგიბრალო!.. რო ჩამოხვიდე და ისევ ყვირილი დამიწყო: „მოემზადე, მოემზადეო„! რატომ შენ არ შემიბრალე?.. მე სიკვდილი ჯერ სრულიადაც არ მინდა.

—შენ არ მოკვდები, ლატაკო, გესმის?.. არ მოკვდები! დაიძახა საშინელის ხმით სიკვდილმა, გაძლევ ჩემ პატიოსან სიტყვას!

—არ მოვკვდები? ჰკითხა ბებერმა.

—არ მოკვდები, ხელს არ გახლებ, სიკვდილი თავის დღეში არ სტყუის.

—მაშ კარგი. მჯერა, ჩამოდი!

იმავე წამს ჩამოვიდა სიკვდილი ხიდამ, დაუპირდაპირდა ბებერს და უთხრა გაჯავრებულმა:

—კარგი მე აღვასრულებ ჩემ სიტყვას. სიკვდილის ცელი შენ, ლატაკო, არ მოგეკარება არას დროს—აწ და მარადის და უკუნისამდინ.

სიკვდილი დიდი ხნის წასული იყო; ბებერი კი იმავე ალაგას იდგა ღიმილით და უხაროდა, რომ მან მოატყუა პაჭუა.

აი სწორეთ ამ დროიდამ არის, რომ ლატაკი აღარ ილევა ქვეყანაზე!..

თარგმ. მ ც.—ისა.

— მარბარილოს ზღვის ნაპირს მდებარე ქალაქიდამ ადაბაზარიდამ იწერებიან, რომ ამ ჟამად ამ ქალაქში და იმის ახლო-მახლო სოფლებში საშინელი ავაზაკობა, კაცის კვლა და ცარცვა არის გავრცელებული ჩერქეზებისაგანო, რომელნიც რიცხვით ოთხი ათასამდინ არიან აქ დასახლებულნიო.

ბოლგარია

ერთისქართველის აფიცრისაგან, რომელიც ბოლგარიაში ვლადიკავკასის ბრიგადაში მსახურებს, ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ვარნიდამ წიგნი, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგს იწერება:

„... ვარნიდამ ჩვენ ამ თვის 19-ს გაევმგზავრებით სილისტრიისა და რენისაკენ და შემდეგ კავკასიაში დაბრუნებაც გველირსება.

„რუსის ჯარები სულ მთლად გაიკრიფნენ ბოლგარიიდამ; დარჩნენ მხოლოთ ტოპოგრაფები მომავალ წლამდის და ზოგიერთი აფიცრები, რომელნიც ემსახურებიან ცხენოსან თუ ქვეითა ბოლგარიის ჯარში.

„... ადრიანოპოლის მხრიდამ, კირკლისიდამ და სხვა ზოგიერთ ადგილებიდამ ბულგარები და ზოგი ბერძნებიც გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ ბულგარიაში, რადგან ოსმალები ძალიან ავიწროებდნენ მათ და არ შეეძლოთ სოფლის გაშორებით მუშაობა—ხოცავდნენ. აქაც, როცა ჩვენ სრულებით მოვშორდებით აქაურობას, მდაბიო ხალხი არეულობას ელოდება; გუნდ-გუნდათ დაიარებიან ახლაც ყაჩაღები; ჩვენ ერთი ყაზახი დაგვიჭრეს და ორი ცხენი მოგვტაცეს დობრუჯუს სამზღვარზე ოსმალოს ყაჩაღებმა. ჩვენებმაც რამდენიმე ყაჩაღი მოჰკლეს, დასჭრეს და ტყვედ დაიჭირეს...“

განცხადებან

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვის. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს არსენალის ქუჩაზე, ფილინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი.

(3—1)

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ი ყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.,

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული დასაწყისი ენის კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ—შედგენილი ზ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობ 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან**, 50 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი** ფასი — — — — —50 კაპ.

6) **ბუნების კარი—ი.** გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი,** შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან— — — — 20 —

9) **ნინო,** მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა,** პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო,** ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13)— **ყარამანია**—პირველი ექვსი

14) **რძალი, მული და მაშენიკები—**

სასოფლო სკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხაყაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

„ყარამანიანისა“

კუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის

ფასი 40 კაპ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	[illegible]	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 11 ივლისს.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
ფქვ. წითელი . .	1	60
ქერი ფუთი . . .	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	20
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბატენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
—თ.რაქამისა ფუთი .	3	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	30
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	72
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	60
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	50
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის საავადმყოფო. (თფილისის სამკურნალო.)

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბელი—კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюля 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.